ბათუმის საკითხი დავით კლდიაშვილის მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“

დალი ბეთხოშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
ელ-ფოსტა: dali.betkhoshvili@yahoo.com
ORCID: https://orcid.org/0000-0001-6947-160X

აბსტრაქტი: დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მემუარულ წიგნს „ჩემი ცხოვრების გზაზე“, რომელშიც ბათუმის სახით მრავალი ეროვნული საკითხია წამოჭრილი, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი.

მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი რეალობა ნათლად ასახავს იმდროინდელი ცხოვრების მძიმე ვითარებას _ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ გარემოს, იმ საფუძვლებს, რაზეც იყო დაყრდნობილი თითოეული სფერო, სადაც კარგად იკვეთება ამ გარემოში მყოფი ადამიანის რთული არსებობა და ყოველივე ამის ფონზე მწერლის თვალით დანახული სინამდვილეა მოცემული, რაც მწერლის შეხედულებებით და განცდილითაა მოწოდებული.

დავით კლდიაშვილის მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გადმოცემულია ბათუმში მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის ოცდარვა წელზე მეტი ისტორია, მასში აღწერილი და გაანალიზებულია ბათუმთან დაკავშირებული არაერთი საკითხი: პორტო-ფრანკოს გაუქმება, მიწების ყიდვა-გაყიდვა, მუხაჯირების საკითხი, ბათუმში ნავთის ქალაქის შექმნის პროცესი, ქართული თეატრის მსახიობების ჩასვლა ბათუმში და თეატრალური სცენის წარმოდგენა, ქალაქის თვითმართველობის შექმნა, ღარიბი მოსახლეობის სწრაფვა ბათუმისაკენ, რკინიგზის გაყვანა, მწვანე კონცხის, ბულვარების მშენებლობის საკითხები, ქალაქში საზოგადო საკრებულოს ჩამოყალიბება... ძალზედ მნიშვნელოვანია მწერლის ცნობები სასწავლებელთა არსებობის შესახებ, კერძოდ, შეიქმნა სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა; გვაცნობს, როგორ ხდებოდა ბინების მშენებლობა, რომ ქალაქის გამგეობის როლს ასრულებდა პოლიცია... აგრეთვე მნიშვნელოვანია ცნობები იმის შესახებ, როგორ დაარსდა სამკითველო-ბიბლიოთეკა, გამრავლდა წიგნადი ფონდი, დიდი ტირაჟით დაიწყო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმიანობა; მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს მთელ რიგ ეროვნულ პრობლემას... ეს უამრავი საკითხი, რომელიც წამოჭრილია დავით კლდიაშვილის მემუარებში, ნათელ წარმოდგენას იძლევა ბათუმში მიმდინარე მღელვარე ცხოვრების არსებობის შესახებ.

ამდენად, დავით კლდიაშვილის მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ წამოჭრილი საკითხები საქართველოს ეროვნული პრობლემის გადაჭრის, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ღირებულია და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად. მასში ასახული საკითხები შემოენახა ისტორიას და აცოცხლებს ეპოქებს თავისი სათქმელით.

თემა აქტუალურია და დიდი თეორიული და პრაქტიკული ღირებულების მომცველი, რამდენადაც დავით კლდიაშვილის მემუარული წიგნი ნაკლებადაა შესწავლილი და გამოკვლევას საჭიროებს

მემუარებში წამოჭრილი პრობლემების, მასში ასახული არსისა და დანიშნულების თვალსაზრისით. ნაწარმოებში ასახული საკითხები არა მარტო დავით კლდიაშვილის ეპოქაში, არამედ დღესაც არ კარგავს აქტუალობას, საჭიროა მისი ხელახლა გაცოცხლება, ახლებური თვალით შეხედვა და გაანალიზება. პრობლემა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ერთიან ეროვნულ ჭრილშია გასააზრებელი, შემდეგ კი მთლიანი გლობალური კონტექსტითაცაა გასათვალისწინებელი. თემის სიახლეც, სწორედ, აღნიშნულის მოგვარებაში მდგომარეობს.

საკვანძო სიტყვები: დავით კლდიაშვილი; „ჩემი ცხოვრების გზაზე"; მემუარები; ბათუმი; საქართველო; ეროვნული პრობლემა.

***

შესავალი: დავით კლდიაშვილის მდიდარ ნააზრევში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მის მნიშვნელოვან მემუარებს „ჩემი ცხოვრების გზაზე", რომელშიც არაერთი საჭირბოროტო საკითხია წინა პლანზე წამოწეული, რაც ერთიან ქართულ ეროვნულ სულს წარმოაჩენს და ქვეყნის მთლიანობის საჩვენებლად ერთიან კონტექსტშია გასააზრებელი.

მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე" დავით კლდიაშვილის მიერ აღწერილი რეალობა ნათლად ასახავს იმდროინდელი ცხოვრების მძიმე ვითარებას _ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ გარემოს, იმ საფუძვლებს, რაზეც იყო დაყრდნობილი თითოეული სფერო, სადაც კარგად იკვეთება ამ გარემოში მყოფი ადამიანის რთული არსებობა და ყოველივე ამის ფონზე მწერლის თვალით დანახული სინამდვილეა მოცემული, რაც მწერლის შეხედულებებით და განცდილითაა მოწოდებული.

დასახელებულ მოგონებებში დავით კლდიაშვილის მიერ წამოჭრილი საკითხები არა მარტო თავის ეპოქაში იყო პრობლემატური და მნიშვნელოვანი, არამედ დღესაც მტკივნეულად აღიქმება თითოეული ქართველის მსოფლმხედველობაში და მთლიანი ქვეყნის სატკივარს წარმოადგენს. ეს პრობლემები წითელი ხაზივით გასდევს არა მარტო ბათუმს, არამედ მთელი საქართველოს ისტორიას, მის პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ და კულტურულ პრობლემად რომ იქცა და თანამედროვე კვლევის საგნადაც არის გადაქცეული.

ამდენად, ეს საკითხი სამეცნიერო დონეზე უნდა იქნას გამოტანილი და დღეს მისი განხილვა აქტუალობას არაა მოკლებული, ამიტომ სამეცნიერო აზრით მისი კვლავ გაცოცხლება და გააზრება დროულიცაა და აუცილებელიც. სწორედ ამაში მდგომარეობს ჩვენი ნაშრომის მნიშვნელობა და ღირებულება.

წყაროების / ლიტერატურის მიმოხილვა: აჭარის საკითხი რომ ყოველთვის პრობლემატური, საინტერესო და მსჯელობის საგანი ხდებოდა, ჩანს როგორც მწერალ-პუბლიცისტთა ნააზრევში, ასევე მეცნიერ-მკვლევართა ნაშრომებშიც, კერძოდ, აღნიშნულს გარკვეული ადგილი ეთმობა სერგეი მესხის, რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, ეგნატე ნინოშვილის და სხვა მოაზროვნეთა შემოქმედებაში. აჭარის სხვადასხვა პრობლემატურ საკითხზე კვლევები წარმოდგენილია პ. უმიკაშვილის,ზაქარია ჭიჭინაძის, მიხ. თამარაშვილის, ა. ახვლედიანის, დ. ბაქრაძის და სხვათა შრომებში, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია ზურაბ კიკნაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის („აკაკი წერეთელი და ოსმალეთის ქართველობა", ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული", VI, 2014; „თურქეთში მცხოვრებ ქართველთა ქართულენოვანი ზეპირსიტყვიერება", წერილი 1; „თურქეთელ ქართველთა ქართულენოვანი პოეზია", ქართველოლო-

გიის აქტუალური პრობლემები, IV), დალი ბეთხოშვილის[1], გურამ ბახტაძის („აჭარა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში“, დისერტაცია, თსუ, 2001), მაია არველაძის (აკაკი წერეთლის პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ამსახველი უცნობი დოკუმენტები (აკაკი და მაჰმადიანი ქართველები)“, ქართველური მემკვიდრეობა, XXIII, 2019), ლუკა დვალიშვილის („აკაკი წერეთელი და აჭარის შემოერთების პრობლემა“, ქართველური მემკვიდრეობა, XIII, 2010), ოთარ გოგოლიშვილის („აკაკი და აჭარა“, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის „წელიწდეული“, VI, 2014) ორიგინალური შრომები, რომლებშიც ძალზედ აქტუალურად და საინტერესოდაა წამოჭრილი და გაანალიზებული არაერთი საკითხი: სწავლა-განათლების, რწმენის, ისტორიული, ეროვნული, კულტურის და სხვ. რომელთაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება აჭარის რეგიონის შესახებ არსებული პრობლემების გასააზრებლად.

მეთოდოლოგია: კვლევის განხორციელებისთვის ნაშრომში გამოყენებულია პრობლემაზე დაფუძნებული კვლევა, ისტორიულ-ლიტერატურული, ჰერმენევტიკული და ანალიტიკური კვლევის მეთოდები, რომელთა მეშვეობით დამუშავდა დავით კლდიაშვილის მნიშვნელოვანი ცნობები ბათუმის შესახებ მისი მემუარული წიგნის მიხედვით, რათა გამოიკვეთოს ნააზრევი და დასკვნები კვლევის შესახებ, საკითხი გააზრებულ უნდა იქნას ერთიან ეროვნულ ჭრილში თანამედროვე პრობლემების კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც ხელს შეუწყობს საკითხის უკეთ წარმოჩენას და შედეგების ჩამოყალიბებას.

დისკუსია / შედეგები: დავით კლდიაშვილის მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გადმოცემულია ბათუმში მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის ოცდარვაწელზე მეტი ისტორია, მასში აღწერილი და გაანალიზებულია ბათუმთან დაკავშირებული არაერთი საკითხი: პორტო-ფრანკოს გაუქმება, მიწების ყიდვა-გაყიდვა, მუხაჯირების საკითხი, ბათუმში ნავთის ქალაქის შექმნის პროცესი, ქართული თეატრის მსახიობების ჩასვლა ბათუმში და თეატრალური სცენის წარმოდგენა, ქალაქის თვითმართველობის შექმნა, ღარიბი მოსახლეობის სწრაფვა ბათუმისაკენ, რკინიგზის გაყვანა, მწვანე კონცხის, ბულვარების მშენებლობის საკითხები, ქალაქში საზოგადო საკრებულოს ჩამოყალიბება... ძალზედ მნიშვნელოვანია მწერლის ცნობები სასწავლებელთა არსებობის შესახებ, კერძოდ, შეიქმნა სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა; გვაცნობს, როგორ ხდებოდა ბინების მშენებლობა, რომ ქალაქის გამგეობის როლს ასრულებდა პოლიცია... აგრეთვე მნიშვნელოვანია ცნობები იმის შესახებ, როგორ დაარსდა სამკითველო-ბიბლიოთეკა, გამრავლდა წიგნადი ფონდი, დიდი ტირაჟით დაიწყო ჟურნალ-გაზეთების გამოცემის საქმიანობა; მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს ეროვნულ საკითხს... ეს უამრავი საკითხი, რომელიც წამოჭრილია დავით კლდიაშვილის მემუარებში, ნათელ წარმოდგენას იძლევა ბათუმში მიმდინარე მღელვარე ცხოვრების არსებობის შესახებ.

„დავით კლდიაშვილმა ყველას დაანახა, რომ ცხოვრების სინამდვილე ძალიან ღრმაა და ამოუწურავი, ხოლო მისი განსახიერების საშუალებები შემოუსაზღვრელი“ (ევგენიძე, მინაშვილი, 2013: 557).

---

[1] იხ. აჭარის საკითხი შემდეგ კვლევებში: აჭარის მოსახლეობის სოციალურ-კულტურული ვითარების თავისებურებანი ადიგენის მაღალმთიანეთში (რამდენიმე სოფლის მაგალითის მიხედვით), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ნაშრომების კრებული „წელიწდეული“, XII, ქ. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ეძღვნება ცნობილ ქართველოლოგს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სამოცი წლის იუბილეს, ქუთაისი, 2020 წ., გვ. 46-58. აგრეთვე, დ. ბეთხოშვილი, აჭარის საკითხი ილია ჭავჭავაძის ნააზრევში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, 2022; ოსმალეთის ქართველების საკითხი აკაკი წერეთლის პუბლიცისტიკაში („ოსმალეთის ქართველებს“), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, 2023.

მოგონებების შესავალში ავტორს წამძღვარებული აქვს: „ეს მოგონებები იწერება იმ მოსაზრებით, რომ რომელიმე მკვლევარმა ჩვენი წარსული ცხოვრების სურათის დასახატავად შეიძლება ამ სტრიქონებშიაც იპოვოს გამოსადეგი რამ მასალა. თუ ეს ასე იქნა, მაშინ ამის დაწერაც გამართლებული იქნება და დამწერიც დიდად დაკმაყოფილებული. ნაშრომს კი ვუძღვნი მათ ხსოვნას, ვინც გული სიყვარულით გამითბო, მასწავლა ადამიანის პატივისცემა და ნდობა. მოკლე მონაგონებში არაფერი შეფერადებული არ იქნება. მხოლოდ სინამდვილე, სინამდვილე, რომელსაც გადაუხრელად ვემსახურებოდი მთელი ჩემი მწერლობის განმავლობაში“ (კლდიაშვილი, 1952: 118).

ლევან ასათიანის თქმით, „თავისი შთაგონების წყაროს დავით კლდიაშვილი მუდამ ხალხის სინამდვილეში ეძებდა, ის მოდიოდა უშუალოდ ცხოვრებიდან და არა წიგნებიდან და ლიტერატურული თეორიებიდან... ლიტერატურულ სკოლებში არასოდეს მიფათურებია... გავა დრო, სკოლა გაქრება, ნაწერებიდან კი მხოლოდ ის დარჩება, რომელიც ადამიანის სიყვარულით არის აღსავსე“ (ასათიანი, 1940: 23).

დავით კლდიაშვილის მემუარული წიგნი „ჩემი ცხოვრების გზაზე“ შედგება 14 თავისაგან, რომელთაგან თითოეულ მათგანში მწერლის ცხოვრება-მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპებია გადმოცემული, სადაც საქართველოს რამდენიმე ქალაქში მისი საქმიანობაა ასახული, მომეტებულად კი ბათუმში მისი მოღვაწეობის პერიოდი და გადმოცემული აქვს ბევრი საკითხი, რომელთა ცენტრში იმყოფებოდა მწერალი და მათ გადაწყვეტაშიც აქტიურად იყო ჩაბმული... ბათუმში მიმდინარე პროცესებს ფართო მასშტაბით ეხება წიგნის თითქმის ყველა თავი. მე-14 თავში თანდართულ ეპიგრაფში ავტორი ასეთ ღრმაშინაარსიან ფრაზას წერს: „... ლიტერატურული გზა ბედნიერად გავლილ გზად მიმაჩნია“ (კლდიაშვილი, 1952: 352), და ამას ნათელყოფს მისი მემუარებიც, რომელშიც აღბეჭდილია მწერლის მიზანდასახული და შინაარსიანი ცხოვრება-მოღვაწეობა.

დავით კლდიაშვილმა სამხედრო განათლება რუსეთში მიიღო, შემდეგ კი ბრუნდება საქართველოში და ბათუმში იწყებს სამხედრო საქმიანობას. როგორც მწერალი წერს, „... 1882 წლის აგვისტოს დავასრულე სამხედრო სასწავლებელი და გამოვსწიე სამსახურისათვის დანიშნულ ადგილს _ ბათუმისკენ, რომელიც ამ დროს პორტო-ფრანკო იყო“ (კლდიაშვილი, 1952: 137).

სამეცნიერო კვლევებში აღნიშნულია, რომ „იმ დროს, როდესაც დავითმა სამხედრო სამსახური დაიწყო, ბათუმი ერთ პატარა, უსიცოცხლო, პრიმიტიულად გაშენებულ დაბას წარმოადგენდა... მაგრამ სწორედ ამ დროს იწყებოდა ბათუმის ახალი ისტორია, მისი სწრაფი ზრდისა და განვითარების ხანა... ბათუმში მოღვაწე სხვა მოწინავე ქართველ ინტელიგენტებთან ერთად დავითი იყო ბათუმის მოწინავე ძალების დარაზმვის, მთელ რიგ კულტურულ დაწესებულებათა მოწყობისა და ფართო საზოგადოებრივი საქმიანობის გაშლის ერთ-ერთი ინიციატორი“ (მერკვილაძე, 1982, გვ. 93) (ქართული...,1982: 93).

„განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა დავითისათვის სამხედრო ყოფა მუშათა გაფიცვების, მათი გამოსვლების, ერთგვარი რევოლუციური აღმავლობის წლებში. ამ დროს ბათუმში ვითარება დაიძაბა, სისხლიც ბევრი დაიღვარა, შეტაკებებიც მოხდა სამხედრო ნაწილებსა და მუშებს შორის. მაგრამ დავითმა მოახერხა ის, რომ მისი ჯარისკაცების მხრიდან თოფი არ გავარდნილიყო. ასეთი ქმედება კი დავითს ძალიან ძვირად უჯდებოდა... მთელი მისი სამხედრო სამსახურის ოცდარვაწლიანი ისტორია არის მუდმივი დაძაბულობა, მუდმივი შინაგანი ჭიდილი...“ (ევგენიძე, მინაშვილი, 2013: 562).

დავით კლდიაშვილი მემუარებში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ გადმოსცემს იმის შესახებ, როდის, რომელ წელს და როგორ ჩავიდა ბათუმში: „1882 წ. სექტემბრის დამლევს პირველად ჩავედი ბათუმში. იქ იყო ის სამხედრო ნაწილი, რომელიც მე ავირჩიე სამსახურისათვის. ბათუმი მაშინ პორტო-

ფრანკო იყო; პატარა ქალაქი, ოთხიათასი მცხოვრებით[2]. ქალაქი, თუკი შეიძლებოდა მისი ქალაქად წოდება, მდებარეობდა ზღვის პირად; ზღვის პირადვე იყო ბაზარი, პატარა დაბალი ქოხმახები _ ვითომ მაღაზიები, რამდენიმე ქუჩა, ვიწრო და მოუკირწყლავი. ქალაქის გარშემო გაბნეული იყო ფაცხები, რომლებშიაც ცხოვრობდნენ აფხაზები და ზანგები. ახლა რომ რკინიგზა მიდის ქალაქში, ეს ისეთი მოშორებული ადგილი იყო, რომ მარტოდ აქ წასვლა საშიშარი და სარიდებელი იყო დღისით, საღამოთი კი პირდაპირ შეუძლებელი; გამბედავს არაფერი სიკეთე მოელოდა: ან გაძარცვავდნენ, ან დასჭრიდნენ, ანდა კლავდნენ...“ (კლდიაშვილი, 1952: 137-138).

დავით კლდიაშვილის მოგონებანში ნაჩვენებია ბათუმის განაშენიანების, ნამდვილ ცოცხალ ქალაქად ქცევის პროცესი: „1883 წელს დასრულდა რკინიგზის კეთება და ბათუმი შეუერთდა თბილისს, რის შედეგადაც 1885 წელს პორტო-ფრანკო გაუქმდა. რკინიგზის ნაპირებზე დაუწყიათ ტყეების გაჩეხა და აგარაკების აშენება. გზა გადიოდა უდაბურ ტყეში, ადგილი და ჰაერი ძალიან მავნე ყოფილა... მიწა მუქთა ყოფილა... დაიწყეს ადგილების მიკუთვნება... დიდი ადგილები მიუკუთვნებიათ მაღალი თანამდებობის პირებს: გიმნაზიის დირექტორს, პოლკოვნიკს, ნოტარიუსის უფროსს, მილიონერებს და სხვ., რომელთაც „მუხაჯირებისაგან შეისყიდეს დიდძალი ადგილები“ (კლდიაშვილი, 1952: 139) და შეიძინეს დიდი ფული.

დავით კლდიაშვილი გვაწვდის ცნობას მუხაჯირების შესახებ: „მუხაჯირებს ეძახოდნენ იმათ, რომელნიც ტოვებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილებს და მიილტვოდნენ დასასახლებლად ოსმალეთისაკენ. ბევრი ყალბი ნაყიდობა კეთდებოდა ამ მუხაჯირების სახელით, ბევრ უპატრონო ადგილს ახალი და უცხო პატრონი უჩნდებოდა; ბევრს აცდენდნენ ფულის შეტყუებით და ეშმაკურად ხელიდან აცლიდნენ სამოსახლოს. საოცარი თარეში იყო მიწების შესაძენად... მწერალი გვაცნობს, როგორ შეისყიდა ადგილები ცნობილმა ჩაის ვაჭარმა პოპოვმა, რომელმაც იწყო ჩაის და რამის მოყვანა _ რამი _ ჩინური ჭინჭრის, რომლისგანაც კეთდება საუკეთესო ქაღალდი. ქაღალდის ფულისათვის ქაღალდს ამ რამისაგან ამზადებდნენ და დიდძალ სარგებელს ნახულობდნენ“ (კლდიაშვილი, 1952: 139). აქვე აღნიშნულია, რომ აგრეთვე განუკითხავად იმკვიდრებდნენ მიწებს.. მწერალი გვაცნობს აგრეთვე მებაღე დალფონსს _ პიონერს მოაგარაკეთა წრის შემქმნელს. მისივე თქმით, გასაოცარი მოხერხებით მან პირველმა ჩადგა ფეხი ე. წ. „მწვანე კონცხში“... მან ჩამოიყვანა თურმე აქ ფულიანი პირები პეტერბურგიდან და მოსკოვიდან... ამ დალფონსმა პირველმა შემოიღო მანდარინების გაშენება; ზრდიდა აგრეთვე ევროპულ მცენარეებს... მალე მწვანე კონცხზე მან მოიყვანა მდიდარი და არა წვრილი მოაგარაკენი (კლდიაშვილი, 1952: 139). მწერლის აზრით, მისი მიზანი იყო ადგილობრივი მცხოვრებლები აეყარა და მათ ადგილას რუსთა მოსახლეობა გაეჩინა... მწერალი აქვე აღნიშნავს, რომ „თვით ბათუმში კი უფრო ნელი სპეკულაცია იყო მიწების, რადგან პორტო-ფრანკოს არსებობა აშინებდათ ერთრიგად. მაგრამ აქაც ჩნდებოდნენ გაბედულები და იძენდნენ ადგილებს, განსაკუთრებით აფხაზებისაგან, რომლებიც სტოვებდნენ თავიანთ ფაცხებს და მიეშურებოდნენ ოსმალეთისაკენ საცხოვრებლად. ფაცხების მაგიერ ჩნდებოდა დიდი სახლები და პაწაწინა ქალაქი ნელ-ნელა იზრდებოდა“ (კლდიაშვილი, 1952: 140).

დავით კლდიაშვილი მემუარების მეშვეობით მომდევნო ეპოქებს აწვდის ბათუმში მიმდინარე კულტურული ცხოვრების ჩამოყალიბების შესახებ: „ქალაქში არავითარი გასართობი არ მოიპოვებოდა. ერთადერთი კულტურული ადგილი იყო საზოგადო საკრებულო, სადაც თავს იყრიდა ხოლმე ერთი ნაწილი მოხელეთა ოჯახებისა. სასწავლებელი იყო ერთი: სამოქალაქო სასწავლებელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართული სკოლა. ეს უკანასკნელი გახსნილი იყო ბათუმის შემოერთების მეორე წელს – იმ მიზნით, რომ აქ თავი მოეყარათ

[2] სხვა ადგილას დამატებით აღნიშნულია, რომ „...ესეც სამხედრო ნაწილების მითვლით, სხვადასხვა ეროვნებით აჭრელებული. იქ ცხოვრობდნენ: ქართველი, რუსი, სომეხი, ბერძენი, თათარი, ოსმალო, აფხაზი, რომელთა შორის იყო ბევრი ზანგი. აქაურობას განაგებდა გუბერნატორი... სმეკალოვი...“ (კლდიაშვილი 1952: 140).

და ესწავლებინათ ქართველი მუსულმანების ბავშვებისათვის. სკოლა იყო მოთავსებული პაწაწინა სახლში, მეტად ღარიბულად და საწყლად, თავის მიზანს დაშორებული, რადგან მუსულმან-ქართველები არ აბარებდნენ შვილებს, ვინაიდან ეშინოდათ შვილებს გაგვიქრისტიანებენო... (კლდიაშვილი, 1952: 140-141). მცირე შემოსავალი ძლივს ინახავდა სკოლას. „დიდ დახმარებას უწევდა სკოლას ამ მხრივ ბათუმის პოლიცმეისტერის დურმიშხან ჟურულის მეუღლე ქეთევანი. ეს უკანასკნელი არა თუ ამ სკოლას უწყობდა ხელს, იგი იყო ბათუმის ქართველი საზოგადოების თავმომყრელი და სულის ჩამდგმელი... ბათუმში ჩამოსული ყოველი ინტელიგენტი მის ოჯახში მიდიოდა. ქართველ არტისტებს აქ დიდი ყურადღება ექცეოდათ და დიდად ხელი ეწყობოდათ. ქართული სკოლა, როგორც ვთქვი, – წერს ავტორი, ამ ოჯახის მზრუნველობით არსებობდა. მწერლის გადმოცემით, „მეც, ახალგაზრდა ოფიცერი, მიმიყვანეს ჟურულის ოჯახში და გააცვნეს ჩემი თავი. ქეთევანმა პირველ გაცნობისთანავე მისაყვედურა, რომ ქართული ძლივს მეხერხებოდა და დედისებური დარიგება მომცა მშობლიური ენა შემესწავლა. რამდენიმე ხნის შემდეგ საქმეში ჩამაბა: იმართებოდა წარმოდგენა სკოლის სასარგებლოდ; იდგმებოდა გიორგი ერისთავის „გაყრა“ და მე დამაკისრეს გაბრიელის როლი“ (კლდიაშვილი, 1952: 141). მისივე ცნობით, დადგმისას დაწესებული იყო ცენზურაც.

დავით კლდიაშვილი გადმოსცემს ცნობებს ბათუმში ხელოვნების განვითარების შესახებ, კერძოდ, როგორი მდგომარეობა იყო მაშინდელ ქალაქში თეატრის საკითხი და, ზოგადად, სამსახიობო ხელოვნება: „დუნედ მიმავალ ცხოვრებას ასიცოცხლებდნენ ხანდახან ქართველი არტისტები. ისინი ჩამოდიოდნენ უფრო ზაფხულობით. მაშინ ბათუმში თეატრი არ იყო; წარმოდგენები იმართებოდა სამოქალაქო სასწავლებლის ეზოში მდგარ ერთ პატარა შენობაში, სადაც იყო მოწყობილი სცენა. ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა, მეტს ვერ იტევდა დარბაზი. სხვა უკეთესი ბინა წარმოდგენებისათვის არსად მოიძებნებოდა და ამით კმაყოფილდებოდა საზოგადოება...“ (კლდიაშვილი, 1952: 142).

დავით კლდიაშვილი განცალკევებით და განსაკუთრებულად გამოყოფს ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნებას, რომლის პორტრეტულ შტრიხებს და სახასიათო თვისებებს ასე წარმოაჩენს: „... ჩვენი სიამაყე, დიდი მწერალი სანდრო ყაზბეგი, მაღალი, გამხდარი ბეჭებში ცოტათი მოხრილი, მოკლე ჩოხით. იგი ვერაფერ კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა თავის გარეგნობით; ამასთანავე თვალშიც კარგად ვერ იხედებოდა – ეს ერთ დროს თურმე შნოიანი, ლამაზი, კოხტა ყმაწვილი, ამ ხანებში სულ გამოცვლილიყო. არ დაიჯერებდით მისი მნახველი, რომ ეს იყო „ელგუჯას“ და „მამის მკვლელის“ ავტორი. ლაპარაკიც კი შნოიანი არ იცოდა და სიტყვის წარმოთქმა სრულად არ ეხერხებოდა... ალბათ ამ გარემოებამ, რომ გარეგნული შეხედულება არ შეეფერებოდა მის მომხიბლავ ნაწერებს, იპოვა დამჯერნი, რომ სანდრო არ იყო ავტორი, დამწერი იმ ნაწარმოებთა, რომლებმაც დაამშვენეს ქართული ლიტერატურა. ბევრი სიმწარე უნახავს სანდროს, ბევრთაგან დიდი მწუხარება შეხვედრია, ბევრს ცხარე ცრემლით უტირებია, და სიკვდილის შემდეგ რაც კი დააბრალეს, რომ სხვისი ნაშრომი თავისი სახელით გამოაქვეყნაო. სანდროს ახლო მცნობისათვის სრულიად მიუღებელია ის აზრი, რომ მას არ შეეძლო ისეთი საუცხოო მოთხრობების დაწერა, როგორიც არის „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „ხევისბერი გოჩა“, „მოძღვარი“ და სხვ. პირიქით, სანდროს ახლო მცნობი იუცხოვებს ამ აზრს, რომ, რადგან, როცა მაღალი ცეცხლით აინთებოდა სანდრო, იგი უცნაური სანახავიც იყო და გატაცებული, აღელვებული მოლაპარაკე და ამ დროს მისი მნახველი და მსმენელი ჩახვდებოდა მის დიდ ნიჭს და ტალანტს. განსხვავებული ბუნების კაცი იყო და წერაც განსხვავებული იცოდა...“ (კლდიაშვილი, 1952: 147).

დავით კლდიაშვილი მემუარებში იძლევა ცნობებს ბათუმის პორტო-ფრანკობის გაუქმების შესახებ, რამაც მშვიდობიანად ჩაიარა, ისე, რომ სხვა სახელმწიფოებისაგან არავითარ წინააღმდეგობას ადგილი არ ჰქონია. „პორტო-ფრანკოს მოხსნით გარშემო მცხოვრებთათვის გაადვილდა ქალაქში მისვლა-მოსვლა. პორტო-ფრანკობის დროს ქალაქში სადარაჯოები იყო და მოსახლეობა

იჩხრიკებოდა, ბაჟს იხდიდნენ... სოფლის მოსახლეობა დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდნენ... ეს შევიწროება მოიხსნა პორტო-ფრანკოს გაუქმებასთან ერთად... ვაჭრობა დღითი-დღე მატულობდა, ქალაქში მოძრაობა თანდათან იზრდებოდა... ბათუმი ყველასათვის საშოვარ ადგილად შეიქნა აღიარებული...“ (კლდიაშვილი, 1952: 159). „სულ მოკლე ხანში გაიყიდა ცარიელი მიწები, გაშენდა ახალი შენობები... ძველი კი, სადაც მაღაზიები იყო, ცეცხლს მისცეს. მთელი ბაზარი გაიწმინდა, გაფართოვდა ზღვის ნაპირი... ქალაქის გამგე იყო პოლიცია... ქალაქში დაიწყო ბულვარის გაკეთება ქვიშაზე. აშენდა პირველი ორსართულიანი შენობა“ (კლდიაშვილი, 1952: 161).

მწერალი აჩვენებს საყურადღებო ვითარებას იმის შესახებ, რომ ქალაქის ცხოვრებაში მეტად ჩართული იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლები, ვიდრე ქართველები, რომლითაც ავტორმა წარმოაჩინა დიდი ეროვნული ტკივილი _ ქართველის დაჩაგვრა და სხვათა აღზევება: „გულდასაწყვეტი მხოლოდ ის იყო, რომ თვითმართველობაში მეტად მკრთალად იყვნენ წარმოდგენილნი ადგილობრივი მცხოვრებნი... უმრავლესობა მოსულთაგანი ფულიანი პირები იყვნენ...: მკვიდრთა ინტერესები სრულად წაყრუებულ იქნა...“ (კლდიაშვილი, 1952: 162).

მწერლის გადმოცემით, „1881 წლიდან დაწყებული სასტიკი რეჟიმის მიუხედავად, თვალსაჩინოდ იზრდებოდა პერიოდულ გამოცემათა გამოსვლა და წიგნის გავრცელება. ათასამდე აწევდა ტირაჟი გაზეთ „ივერიისა“, თანდათან ვრცელდებოდა „კვალი“ და ეფინებოდა სოფლადაც კი ბროშურები, ფურცლები, სხვადასხვა წიგნაკები, მკითხველთა რიცხვიც საოცრად იზრდებოდა... ხალხის დინება მომძლავრდა სოფლებიდან ქალაქისაკენ. მწერლის თქმით, „ყველას ენაზე ეკერა ქადაგება „ქარხნის ქვაბში ამოხარშვის საჭიროების“ შესახებ, მიწისაგან გაშორება. ამ ქადაგებამ შუაზე გაყო საზოგადოება – ერთნი მიწასთან განშორებაში ხედავდნენ ხსნას, მეორენი – მიწასთან კავშირში ხედავდნენ ხსნას. ამ საკითხებზე ხშირი კამათი იმართებოდა, მწერლის ცნობით, ახალმოსულს, ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის... ყველაზე უფრო ეს, სოფლის შემოსევა განიცადა ბათუმმა, რადგან არსად არ ჰქონდა გასავალი მუშა-ხელს, როგორც აქაურ ქარხნებში. განვითარდა წვრილი ვაჭრობაც... „მთავრობა იმის ცდაში იყო, რომ რაც შეიძლება მეტი გადმოესახლებინა შიდა რუსეთიდან და დაებინავებინა,მკვიდრნი აეყარნა და სხვაგან გადაეგდო, აქაურობას მოეშორებინა... რუსების ნაწილი დაასახლეს „ბათუმის მახლობლად ჭოროხის გაღმა ე. წ. თხილნარში... კვლავ ციება ჩამოვარდა და ხალხი ისევ გაიქცა...“ (კლდიაშვილი, 1952: 163).

ჩამოსახლების და გადასახლების პროცესი მიმდინარეობდა ბათუმის სხვადასხვა უბანსა თუ დასახლებაში. ამგვარ სურათს ხატავს სოფელ ბორჩხის გადაღმა მდებარე მურღულის ხეობაში. მწერლის შეფასებით, ეს ხეობა მეტად მდიდარი და ღონიერი იყო; აქაურები კარგად, კმაყოფილად ცხოვრობდნენ; ჰქონდათ ჩინებულად აგებული და მოწყობილი სახლები; ჰყავდათ საკმაო საქონელი, მოსდიოდათ საკმაოდ სიმინდი, ზოგ ადგილას პურიც; ხილი – ვაშლი და მსხალი – აუარებელი; ჰავა მშვენიერი...“ (კლდიაშვილი, 1952: 164).

„ბათუმის განაპირა უბანში, ე. წ. გოროდოკში, არარუსს ნება არ ჰქონდა ეყიდნა ადგილი და სახლი აეშენებინა. სოფლიდან აყრილს, ქალაქს შემოხიზნულს, ერთადერთი ადგილი ჰქონდა დასაბინავებლად. ეს იყო როტშილდის ქარხნის გადაღმა, მდინარე ბარცხანას ნაპირზე. ამ დათმობაში გადაცდა მთავრობა... – არ ეგონა თუ აქ თავს მოიყრიდა ერთგვარი ელემენტი, რომელიც 905-ში ერთ ალიაქოთს აუტეხავდა, გამოაცხადებდა თავის ნებას უჩინარი „ბარცხანის გუბერნატორის“ სახელით და მის მთავრობასაც“ (კლდიაშვილი, 1952: 165).

მწერლის ცნობით, „იმის გასაცნობად, თუ რას წარმოადგენდა იმ ხანებში ბათუმი, თუ როგორ გაიზარდა იგი, რამ შექმნა იგი მნიშვნელოვან ცენტრად, რომელსაც ეტანებოდა ბუნებრივად ჩვენებურობა და შორებლებიც, ამის გასაცნობად საკმაო გასაღებს იძლევა ჩემი წერილი, წერს დ. კლდიაშვილი, რომელიც მქონდა დაბეჭდილი გაზეთ „ცნობის ფურცელში“. წერილი წარმოადგენს ამონაკრებს იმ მოხსენებიდან, რომელიც წარუდგინა მთავრობას ცალკე წიგნად საგანგებოდ ბათუმის

საკითხის შესასწავლად დანიშნულმა კომისიამ, ე. წ. „ზაბუგინის კომისიამ“. ეს მოხსენება მე ბედნიერი შემთხვევით ჩამივარდა ხელში და ვისარგებლე მასში მოყვანილი ძვიფასი ცნობით“. დავით კლდიაშვილის ცნობით, „ამ მოკლე დროში ბათუმში დაფუძნდება ე. წ. ნავთის ქალაქი, რომელიც სრულიად შესცვლის ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს. საქონლის დღევანდელი სადგური სრულიად მოიშლება და აქ ნავთის ქალაქი გაშენდება. რკინიგზა მარცხნიდან მიხაილოვის ქვეითა ბატალიონის ყაზარმებს წინ გაივლის და კახაბერის მთის ძირისკენ გაემართება. აქ გაშენდება მგზავრთა და საქონლის სადგურები“ (კლდიაშვილი, 1952: 167).

განკარგულების თანახმად, „... დაწესდეს ცალკე უბანი, რომელსაც უნდა დაერქვას „ნავთის ქალაქი“. ქალაქის თვითმართველობამ იმ ადგილს საზღვარიც აღნიშნა, სადაც უნდა დაარსდეს ეს „ნავთის ქალაქი“ _ ადგილი, რომელზეც მოთავსებული იყო ნავთის ქარხნები და რკინიგზის საქონლის სადგური. ქალაქის თვითმართველობის თხოვნა შეწყნარებულ იქნა. უმაღლესად დაინიშნა კომისია ბათუმში ნავთის ქალაქის დასაარსებლად. ...აქვე ჩამოთვლილია ოთხ პუნქტიანი გეგმა, რაც ამ კომისიას უნდა განეხორციელებინა (კლდიაშვილი, 1952: 168-169).

დავით კლდიაშვილი საინტერესო ცნობებს იძლევა ქარხნების განთავსების ადგილის, სივრცის (105 დესეტინაზე მეტი იყო), როგორი განშტოებები ჰქონდა, რამდენი რკინიგზის შესასვლელი და ა. შ. სულ ყოფილა ნავთის 11 ქარხანა და ნავთის გასაგზავნი თუნუქის ყუთებისა და კასრების 9 სახელოსნო. ქარხნები და სახელოსნოები ეკუთვნოდნენ: ხაზინას – 1, უცხოელებს – 8, სომხებს – 6; დანარჩენი სხვა პირებს, რომელთა შორის, რასაკვირველია, არც ერთი ქართველი არ ერია. მიწების ფასი ამ რაიონში დღითი დღე იზრდებოდა: 1899 წელს ოთხკუთხა საჟენი მიწა ფასობდა რვა მანეთიდან თხუთმეტ მანეთამდე; საიჯარო – ოთხკუთხა საჟენი – ორმანეთ-ნახევრამდი ადიოდა წლიურად. შემდეგში ეს ფასები გაორკეცდა, რადგან საიჯარო მიწის შოვნაც ბნელი შეიქნა: გასაყიდი კი სრულიად აღარ მოიძებნებოდა... ნავთის ქარხნები მოწყობილი იყო ექსპორტის საჭიროებათა მიხედვით: – ნავთი იგზავნებოდა გემებში გადასხმით და ყუთებით; ამის გამო ქარხნებიც ორნაირი იყო: ყუთებით მგზავნებელი და გემებით მგზავნელი... რეზერვუარებში, ქვაბებში თავსდებოდა 25000-30000 ყუთამდე ნავთი. 1899 წელს ამ რეზერვუარების რიცხვი იყო 172, რომელშიაც შეიძლებოდა 14 მილიონი ფუთი ნავთის მოთავსება. ასევე დ. კლდიაშვილი იძლევა საინტერესო ცნობებს იმის შესახებ, როგორ ხდებოდა ნავთის შემოტანა ბაქოდან, როგორი გემებით და რა ტევადობით, რამდენი ფუთი ნავთი იქაჩებოდა რეზერვუარებში, ნავთის სადენი მილები როგორი იყო, როგორი აღნაგობის, დასახელებულია ის ფირმები, რომელსაც ეკუთვნოდა გემებიც. მისივე ცნობით, ნავთის გამტან გემთა რიცხვი 1899 წელს იყო ოთხმოცამდე და ყველაში მათში ეტეოდა 17000000 ფუთამდი (კლდიაშვილი, 1952: 170). გარდა გემებისა ნავთი იგზავნებოდა თუნუქის ყუთებითა და კასრებით... მწერლის მხრიდან მოწოდებულია საინტერესო ცნობები: რამდენი ესხმებოდა ამ ყუთებში, რომელი ხისგან მზადდებოდა, თუნუქი საიდან მოჰქონდათ (ინგლისიდან), ლურსმანი _ პეტერბურგიდან და რიგიდან და ა. შ. ნავთის გაზიდვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სახელმწიფო ვაჭრობისათვის; ამიტომ საჭირო იყო მისი ხელის შეწყობა და დათმობა მისდა სასარგებლოდ ზოგიერთი ინტერესისა (კლდიაშვილი, 1952: 171-172).

ბათუმის მმართველობა, კომისია შეუდგა იმ ადგილების მოძიებას, სადაც შეიძლებოდა ნავთის ახალი რეზერვუარების აგება. „კომისიამ დაათვალიერა მთელი ბათუმის მიდამოები. ამ ადგილების აღწერილობაში ბევრი რამ საინტერესო ცნობებია“ (კლდიაშვილი, 1952: 173), – წერს დ. კლდიაშვილი. ეს ადგილებია: ადგილები მდინარე ჭოროხის ნაპირებზე და ართვინის გზატკეცილის დაყოლება, ბარცხანის ხეობა, ყოროლის წყლის ჭალები, მახინჯაური, ჩაქვის არემარე, სადგურ ქობულეთის არემარე. მწერლის შენიშვნით, „კანონის ყოველსავე მოთხოვნილების სისრულეში მოსაყვანად ნავთის ქალაქში ქარხნის პატრონებს ვადად ეძლეოდათ სამი წელიწადი ნავთის ქალაქის გეგმის დამტკიცების დღიდან“ (კლდიაშვილი, 1952: 177).

მემუარებში დ. კლდიაშვილი საუბრობს მთელ რიგ ეროვნულ პრობლემებზე... დაარსდა სამხედრო სკოლა, სადაც მასწავლებლად დანიშნეს... „ამ ხანებში მოხდა ის ახალი განკარგულება, რომლის ძალით ქართველი ჯარისკაცები უნდა აერიათ რუსებში. წინათ სამსახურში გაყვანილი ქართველები მსახურობდნენ ქართულ რაზმებში. ასეთი წესი მოიშალა და ყველა სამსახურში გაყვანილნი ერთმანეთში აურიეს – ეროვნებას აღარ უყურებდნენ“ (კლდიაშვილი, 1952: 225). ... ყველაფერში რუსეთის ქვეშევრდომობა იგრძნობოდა... სხვა ეროვნების ადამიანს აიძულებდნენ ეთქვა, ვითომ იყო რუსი და არა, მაგალითად, ებრაელი, ქართველი, სომეხი... რომ მათი სამშობლო რუსეთია (კლდიაშვილი, 1952: 243-245).

დავით კლდიაშვილის ცნობით, ქალაქში გახსნეს საჯარო ბიბლიოთეკა – სამკითხველო, რომელსაც მოუგროვეს მრავალი წიგნი და უწერდნენ ჟურნალ გაზეთებს. სამკითხველო ნურიაში იყო და მუდამ სავსე იყო მკითხველით. სამკითხველოს გარდა, დიდი მეცადინეობის შემდეგ, გაიხსნა საკვირაო სკოლა ბარცხანაში. აქ როტშილდის ქარხანას მუშების სასადილოსათვის ჰქონდა აგებული ფიცრული და აქ გაიმართა საკვირაო სკოლა. დ. კლდიაშვილის მოგონებით, ... საკვირაო ერქვა სკოლას, მაგრამ მეცადინეობა კვირა დღეების გარდაც იყო“ (კლდიაშვილი, 1952: 246-247).

დავით კლდიაშვილი იგონებს იმ მღელვარების შესახებ, რაც ხდებოდა მთლიანად ბათუმში, ცხოვრების ტალღები თანდათან ძლიერდებოდა... ავტორის შენიშვნით, „ყველგან მღელვარება, ყველგან არევ-დარევა, მოუსვენარია, აღშფოთებულია დიდი და პატარა“ (კლდიაშვილი, 1952: 289); კონკრეტულად, მწერლის მიერ მოტანილია ცნობები იმ უკმაყოფილების შესახებ, რომელსაც იმ დროს ადგილი ჰქონდა ბათუმის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში, იმ უსარგებლო სწავლისა და პედაგოგთა (უმრავლესი იყვნენ რუსები) მხრიდან მოსწავლეებისადმი უსამართლო დამოკიდებულების თაობაზე, რაც გამეფებული იყო აღნიშნულ გიმნაზიებში. მწერლის ცნობით, ქალთა გიმნაზიაში, მათი უმრავლესობის მოთხოვნით, გაძევებულ იქნა მათი გამგე ქალი, ვაჟთა გიმნაზიაში კი, მთელი ამბოხებით, მშობელთა კრებამაც (ერთ-ერთი მშობელი თვით დ. კლდიაშვილი იყო) ვერ შეაცვლევინა გადაწყვეტილება მოსწავლეებს და გააგდეს ერთ-ერთი მასწავლებელი; ერთ-ერთმა მოსწავლემ, მშობელთა კრების მოთხოვნაზე თავი შეეკავებინათ, პირდაპირ განაცხადა: „... გეუბნებით, ჩვენი მოთმინება აივსო... შეისმინეთ ჩვენი – გეუბნებით, გთხოვთ, მოგვაშოროთ ვინოგრადოვი... ჩვენ აღარ შეგვიძლია კიდევ ვუყუროთ მის სახეს, მის გაქვავებულ სახეს, რომელზედაც არასოდეს ღიმილი არ დაგვინახავს, ვეღარ ვუძლებთ მისი მშრალი დარიგების მოსმენას; ის გონებასთან კი არ მიდის, თავში კვერივით გვირტყამს; თქვენ, ჩვენს მშობელთ გწადიათ, რომ ჩვენ აქ ვისწავლოთ; ჩვენ გვინდა ვისწავლოთ, მაგრამ მასთან სწავლა არ შეგვიძლია, არა; თუ ჩვენი სიკეთე გსურთ, შეისმინეთ ჩვენი თხოვნა, თორემ მიგვიყვანთ იმ ზომამდე, რომ ერთ დღეს სრულიად დავკარგავთ მოთმინებას და ჩვენდა უნებურად ვეცემით ჩვენს ამაღელვებელს და კისრის ტეხით ჩავათრევთ კიბეზე!“ (კლდიაშვილი, 1952: 291).

მოტანილი მონაკვეთის მწარე რეალობა ნათლად წარმოაჩენს იმ სულისკვეთებას, რომელიც მაშინდელ გიმნაზიებში სწავლის პროცესში სუფევდა... ქართველი ახალგაზრდების გამოფხიზლებული, შეუპოვარი ეროვნული სული, რომელიც იოლად თავს არ მოიდრეკს უცხო მასწავლებლის მხრიდან თავსმოხვეულ უცხო გავლენებს...

დავით კლდიაშვილი აღწერს აგრეთვე იმ მღელვარებას, რასაც ადგილი ჰქონდა სამხედრო სამსახურში, ყაზარმებში, როგორ გაიფიცნენ მოსამსახურე ჯარისკაცები და გამოხატეს პროტესტი უღირსი რეჟიმის წინააღმდეგ, არასასურველ კვებაზეც კი და მათ ჰქონდათ უტეხი ნება და შეუდრეკელობა უშიშრად დაპირისპირებოდნენ იქ გამეფებულ მკაცრ რუსიფიკატორულ რეჟიმს.

ამდენად, დავით კლდიაშვილის მემუარულ წიგნში „ჩემი ცხოვრების გზაზე“ წამოჭრილი საკითხები საქართველოს ეროვნული პრობლემის გადაჭრის, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ღირებულია და ქვეყნის სახელმწიფოებრივად მოგვარების გზას ისახავს მიზნად.

მასში ასახული საკითხები შემოენახა ისტორიას და აცოცხლებს ეპოქებს თავისი სათქმელით. დავით კლდიაშვილმა თავის „მემუარებში“ ნათლად ასახა თავისი დროის ბათუმში მიმდინარე მღელვარე პროცესები, სინამდვილე, ამიტომ მისი მოგონებები უტყუარი მატიანეა, ნამდვილი ისტორიული წყაროა მაშინდელ ბათუმში მიმდინარე პროცესების აღსაქმელად და გასააზრებლად.

თემა აქტუალურია, რამდენადაც დავით კლდიაშვილის ნააზრევი ამ კუთხით ნაკლებადაა შესწავლილი და კვლავ კვლევას საჭიროებს მათში წამოჭრილი პრობლემების არსისა და დანიშნულების თვალსაზრისით. მასში განხილული პრობლემატური საკითხები მნიშვნელოვანი იყო არა მარტო დავით კლდიაშვილის ეპოქაში, არამედ დღესაც არ კარგავს აქტუალობას, საჭიროა მისი ხელახლა გაცოცხლება, ახლებური თვალით შეხედვა და გაანალიზება. პრობლემა, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ერთიან ეროვნულ ჭრილშია გასააზრებელი, რაც მთლიანი სამყაროს ქრისტიანული ნაწილის კონტექსტითაცაა გასათვალისწინებელი.

სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ეს საკითხი, ვფიქრობ, სამეცნიერო დონეზე უნდა იქნას გამოტანილი და დღეს მისი განხილვა არა მარტო შავიზღვისპირეთის ნაწილს, კერძოდ, ბათუმს აცოცხლებს, არამედ მთლიანი ეროვნული ჭრილითაა საინტერესო, ამიტომ სამეცნიერო აზრით მისი კვლავ განხილვა აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ასათიანი, ლ. (1940). წერილები ლიტერატურაზე. ტფილისი. სახელმწიფო გამომცემლობა.

ევგენიძე, ი., მინაშვილი, ლ. (2013). ქართული ლიტერატურა. ტ. II (XIX საუკუნე). თბილისი.

კლდიაშვილი, დ. (1952). თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ტომი I. თბილისი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.

ქართული ლიტერატურის ისტორია (1982). ექვს ტომად. ტომი V. (XIX საუკუნის დასასრული, XX საუკუნის დასაწყისი). რედაქტორი გ. მერკვილაძე. თბილისი. „საბჭოთა საქართველო“.